ხელშეკრულება № 2016/82
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(ელექტრონული ტენდერი SPA160006107)

ქ. თბილისი „19" „აპრილი" 2016 წ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად №1", წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის **ალექსანდრე ტაბატაძის** სახით, **სსიპ „იუსტიციის სახლი"**, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად №2", წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის (ფინანსების დირექტორი) მოვალეობის შემსრულებლის ავთანდილ კოხრეიძის სახით, **სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო"**, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად №3", წარმოდგენილი თავმჯდომარის მოადგილის **ალექსანდრე თევდორაძის** სახით, სახით, **სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო"**, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად №4", მხარდაჭერის დეპარტამენტის დირექტორის **ნინო ინწკირველის** სახით, **სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო"**, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად №5", წარმოდგენილი ფინანსების, სტატისტიკის და შესყიდვების სამსახურის უფროსის **კობა ხუბუნაიას** სახით, **სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე"**, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად №6", წარმოდგენილი თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ნიკა ახალბედაშვილის სახით, **სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი"**, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად №7", წარმოდგენილი დირექტორის ნუგზარ კაკულიას სახით, **სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტო"**, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად №8", წარმოდგენილი სააგენტოს თავმჯდომარის ირაკლი გვენეტაძის სახით, რვავე ერთად წოდებული როგორც „შემსყიდველი", და **შპს „თბს ტვ მედია"**, შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად", წარმოდგენილი დირექტორის **თინათინ იობიშვილის** სახით, ცხრავე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება" – წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 „ინსპექტირება" – ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2. ხელშეკრულების საგანი

სარეკლამო რგოლების სატელევიზიო ეთერში განთავსების მომსახურება (CPV-92140000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **359,937.90 (სამას ორმოცდაცხრამეტი ათას ცხრაას ოცდაჩვიდმეტი ლარი და 90 თეთრი) ლარს.**

3.2. 1 (ერთი) ერთეული შეწონილი რეიტინგების ჯამის (wGRP-ს) ღირებულება შეადგენს 55.29 (ორმოცდათხუთმეტი ლარი და 29 თეთრი) ლარს, მინიმალური სავალდებულო შეწონილი რეიტინგების რაოდენობა განსაზღვრულია ამ ხელშეკრულების დანართი N2-ით (ფასების ცხრილი).

3.3. გაანგარიშება, რომელშიც მითითებულია შემდეგი პარამეტრები: არხები, PT-OPT და დაგროვილი რეიტინგების გადანაწილება არხებზე, ერთეულის ფასი 30 წამზე წარმოდგენილია ამ ხელშეკრულების დანართი N3-ით.

3.4. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც მომსახურების გაწევის ღირებულებას, ისე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. **მიმწოდებელი** ვალდებულია:

ა) განახორციელოს სარეკლამო რგოლების სატელევიზიო ეთერში განთავსების მომსახურების გაწევა ხელშეკრულების დანართის „ტექნიკური დავალების" შესაბამისად (დანართი N1);

ბ) განახორციელოს AGB-ის ან Infosys+ სისტემით განსაზღვრული ანგარიშის მიწოდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის (მათ შორის სამინისტროს სსიპ-ებისათვის გაწეული მომსახურების გაწევის თაობაზე) როგორც სარეკლამო კამპანიის მსვლელობისას, ასევე სარეკლამო კამპანიის დასასრულისას, ამასთან ყოველი კონკრეტული სარეკლამო კამპანიის დასრულების შემდგომ წარდგენილი ანგარიში უნდა იყოს ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ;

გ) ყოველ ხუთშაბათს გადაუგზავნოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ყოველკვირეული კონკურენტული მიმოხილვა (სხვა საჯარო უწყებების ეთერში გასვლის ზოგადი ინფორმაცია: უწყების სახელი: ჯამური wGRP, RCH, SHR, insertion-ი და ქრონომეტრაჟი) შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე njanelidze@justice.gov.ge;

დ) გაუგზავნოს შემსყიდველი №1-ს 2016 წლის კვარტალურად (ბოლო კვარტლის გამოკლებით) განახლებადი MMO კვარტლის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: njanelidze@justice.gov.ge;

ე) კამპანიის მიმდინარეობისას, ყოველ ოთხშაბათს, გაუგზავნოს შემსყიდველს შევსებული პოსტ-ბაი ანალიზი (ხელშეკრულების დანართი N4-ის სახით) და მონიტორინგი (spot by spot);

ვ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

ზ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. **შემსყიდველი** ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ინსპექტირება

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელების დროს.

5.2. ინსპექტირებას განახორციელებენ:

ა) შემსყიდველი №1-ის მხრიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი მარიამ სხილაძე, ამავე დეპარტამენტის მრჩეველი ნათელა ჯანელიძე, ასევე ეკონომიკური დეპარტამენტის მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მრჩეველები - ზვიად ვეკუა და ზაზა გურასპაშვილი, რომელთაც შეუძლიათ ინსპექტირების განხორციელება როგორც ინდივიდუალურად, ისე ერთობლივად.

ბ) შემსყიდველი №2-ის სსიპ იუსტიციის სახლის მარკეტინგული კომუნიკაციების სამსახური.

გ) შემსყიდველი №3-ის სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ეკა ერგემლიძე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში- ზემოაღნიშნული სამსახურის სხვა თანამშრომელი.

დ) შემსყიდველი №4-ის სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მარკეტინგული კომუნიკაციებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ეკა მამალაძე, ხოლო ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს განახორციელებს სააგენტოს შესყიდვების სამსახურის მთავარი სპეციალისტი მარინე გვრიტიშვილი.

ე) შემსყიდველი №5-ის სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ბრენდის განვითარებისა და გაყიდვების სტიმულირების სამსახურის თანამშრომელი პაატა შამუგია.

ვ) შემსყიდველი №6-ის სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და მარკეტინგის სამსახურის მრჩეველი მიხეილ დავიდოვი.

ზ)შემსყიდველი №7-ის სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის მარკეტინგის და საზოგადოებასთან ურთიერთბის სამსახურის უფროსის მ/შ ელენე ზამთარაძე.

თ) შემსყიდველი №8-ის სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი მამუკა კახნიაშვილი.

5.3. შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1. თითითოეული სარეკლამო კამპანიის დასრულების შემდეგ, გარდა დეკემბრის თვეში დასრულებული სარეკლამო კამპანიისა, მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი პოსტ-ბაი ანალიზის დაკორექტირებული თვის მონაცემების, შპს „თვმრ საქართველოს" მიერ ხელმოწერილი ანგარიშისა და ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

6.2. დეკემბრის თვეში დასრულებული სარეკლამო კამპანიის (არსებობის შემთხვევში) მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, მიმწოდებლის მიერ 2016 წლის ბოლომდე წარმოდგენილი პოსტ-ბაი ანალიზის, შპს „თვმრ საქართველოს" მიერ ხელმოწერილი ანგარიშისა და ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.2 შემსყიდველი №1 იღებს ვალდებულებას 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განახორციელოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანგარიშსწორება ხელშეკრულებაში გათვალისწინებული მისი წილის 104,276.94 (ასოთხი ათას ორას სამოცდათექვსმეტი ლარი და 94 თეთრი) ლარის ფარგლებში, ყოველი კონკრეტული მომსახურების გაწევის შემდეგ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორების განხორციელების ბოლო ვადა გადაიწევს მომდევნო სამუშაო დღეს.

7.3. შემსყიდველი №2 იღებს ვალდებულებას საკუთარი შემოსავლებით განახორციელოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანგარიშსწორება ხელშეკრულებაში გათვალისწინებული მისი წილის 41,688.66 (ორმოცდაერთი ათას ექვსას ოთხმოცდარვა ლარი და 66 თეთრი) ლარის ფარგლებში, ყოველი კონკრეტული მომსახურების გაწევის შემდეგ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორების განხორციელების ბოლო ვადა გადაიწევს მომდევნო სამუშაო დღეს.

7.4. შემსყიდველი №3 იღებს ვალდებულებას საკუთარი შემოსავლებით განახორციელოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანგარიშსწორება ხელშეკრულებაში გათვალისწინებული მისი წილის 46,941.21 (ორმოცდაექვსი ათას ცხრაას ორმოცდაერთი ლარი და 21 თეთრი) ლარის ფარგლებში, ყოველი კონკრეტული მომსახურების გაწევის შემდეგ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორების განხორციელების ბოლო ვადა გადაიწევს მომდევნო სამუშაო დღეს.

7.5. შემსყიდველი №4 იღებს ვალდებულებას საკუთარი შემოსავლებით განახორციელოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანგარიშსწორება ხელშეკრულებაში გათვალისწინებული მისი წილის 37,541.91 (ოცდაჩვიდმეტი ათას ხუთას ორმოცდაერთი ლარი და 91 თეთრი) ლარის ფარგლებში, ყოველი კონკრეტული მომსახურების გაწევის შემდეგ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორების განხორციელების ბოლო ვადა გადაიწევს მომდევნო სამუშაო დღეს.

7.6. შემსყიდველი №5 იღებს ვალდებულებას საკუთარი შემოსავლებით განახორციელოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანგარიშსწორება ხელშეკრულებაში გათვალისწინებული მისი წილის 27,866.16 (ოცდაშვიდი ათას რვაას სამოცდაექვსი ლარი და 16 თეთრი) ლარის ფარგლებში, ყოველი კონკრეტული მომსახურების გაწევის შემდეგ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორების განხორციელების ბოლო ვადა გადაიწევს მომდევნო სამუშაო დღეს.

7.7. შემსყიდველი №6 იღებს ვალდებულებას 2016 საკუთარი შემოსავლებით განახორციელოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანგარიშსწორება ხელშეკრულებაში გათვალისწინებული მისი წილის 36,491.40 (ოცდათექვსმეტი ათას ოთხას ოთხმოცდათერთმეტი ლარი და 40 თეთრი) ლარის ფარგლებში, ყოველი კონკრეტული მომსახურების გაწევის შემდეგ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორების განხორციელების ბოლო ვადა გადაიწევს მომდევნო სამუშაო დღეს.

7.8. შემსყიდველი №7 იღებს ვალდებულებას 2016 საკუთარი შემოსავლებით განახორციელოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანგარიშსწორება ხელშეკრულებაში გათვალისწინებული მისი წილის 36,491.40 (ოცდათექვსმეტი ათას ოთხას ოთხმოცდათერთმეტი ლარი და 40 თეთრი) ლარის ფარგლებში, ყოველი კონკრეტული მომსახურების გაწევის შემდეგ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორების განხორციელების ბოლო ვადა გადაიწევს მომდევნო სამუშაო დღეს.

7.9. შემსყიდველი №8 იღებს ვალდებულებას 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განახორციელოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანგარიშსწორება ხელშეკრულებაში გათვალისწინებული მისი წილის 28,640.22 (ოცდარვა ათას ექვსას ორმოცი ლარი და 22 თეთრი) ლარის ფარგლებში, ყოველი კონკრეტული მომსახურების გაწევის შემდეგ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორების განხორციელების ბოლო ვადა გადაიწევს მომდევნო სამუშაო დღეს.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ტექნიკური დავალებით განსაზღვრული მომსახურების გაწევის ვადის/ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, რომელიც აითვლება თითოეულ მომსახურებაზე ცალ-ცალკე, ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველ №1-ს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.02%-ის ოდენობით.

9.3. წინამდებარე ხელშეკრულების 7.3 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველ №2-ს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.02%-ის ოდენობით.

9.4. წინამდებარე ხელშეკრულების 7.4 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველ №3-ს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.02%-ის ოდენობით.

9.5. წინამდებარე ხელშეკრულების 7.5 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველ №4-ს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.02%-ის ოდენობით.

9.6. წინამდებარე ხელშეკრულების 7.6 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველ №5-ს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.02%-ის ოდენობით.

9.7. წინამდებარე ხელშეკრულების 7.7 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველ №6-ს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.02%-ის ოდენობით.

9.8. წინამდებარე ხელშეკრულების 7.8 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველ №7-ს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.02%-ის ოდენობით.

9.9. წინამდებარე ხელშეკრულების 7.9 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველ №8-ს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.02%-ის ოდენობით.

9.10. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.11. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

11.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შემსყიდველების თანხობრივი წილების 5%-ის ოდენობის საბანკო გარანტიები გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ

მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ან არასრულად უზრუნველყოფს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევას ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიის ვადის გასვლამდე.

11.2. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებას ან ხელშეკრულების მოქმედება შეწყდება მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს გარანტიის დაუყოვნებლივ დაბრუნება, მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში.

12. დავების გადაწყვეტა

12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13.4. იმ შემთხვევაში, თუ სარეკლამო კამპანიის დროს დაგროვილი შეწონილი რეიტინგის ოდენობა დაგეგმილ შეწონილ რეიტინგზე ნაკლები იქნება 15%-ზე მეტით, პირველ ჯერზე შემსყიდველი განახორციელებს დაგროვილი შეწონილი რეიტინგის მხოლოდ 80%-ის ღირებულების ანაზღაურებას, ხოლო ზემოაღნიშნული ფაქტის განმეორების შემთხვევაში შემსყიდველი აღარ აანაზღაურებს დაგროვილი შეწონილი რეიტინგის ღირებულებას და იტოვებს უფლებას მოახდინოს ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა მომსახურების არაჯეროვნად შესრულების გამო.

13.5. იმ შემთხვევაში, თუ სარეკლამო კამპანიის (1 კვირიანი ან 1 კვირაზე მეტი ხანგრძლივობის) დასრულების შემდეგ სარეკლამო კამპანიის ჯამური RCH არ იქნება ტექნიკური დავალებით დადგენილი ოდენობების შესაბამისი, შემსყიდველი არ განახორციელებს გაწეული მომსახურების ღირებულების ანგარიშსწორებას და იტოვებს უფლებას მოახდინოს ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა მომსახურების არაჯეროვნად შესრულების გამო.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით,

კარანტინით, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარული დღისა, წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია ათი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო დანარჩენი - შემსყიდველებს.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი N1:

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
მინისტრის მოადგილის
ალექსანდრე ტაბატაძის სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №24ა,
ტელეფონი : 240-58-15,
საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №GE24NB0330100200165022,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22,
ს/კ – 203845349

მიმწოდებელი:

შპს „თბს ტვ მედია“
წარმოდგენილი დირექტორის
თინათინ იობიშვილის სახით,
იურიდ. მისამართი: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №68,
ფაქტ. მისამართი: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №68,
ტელეფონი: 240-93-40 და 595-98-58-88,
საბანკო რეკვიზიტები: ანგ.№GE85TB7904436080100001,
სს „თიბისი ბანკი“, კოდი: TBCBGE22,
ს/კ – 405030317

405030317
TBC TV MEDIA
თბს ტვ მედია

შემსყიდველი №2:

სსიპ „იუსტიციის სახლი“,
რმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის
(ფინანსების დირექტორი) მოვალეობის შემსრულებლის
ავთანდილ კოხრეიძის სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ.2,
ტელეფონი:
საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №707467520,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22,
ს/კ – 204580202

შემსყიდველი №3:

სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“,
წარმოდგენილი თავმჯდომარის მოადგილის
ალექსანდრე თევდორაძის სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, წმინდა ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ.№2,
ტელეფონი:
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ. №GE24NB0330100200165022,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22,
სახაზინო კოდი: 707427078
ს/კ – 202238621

შემსყიდველი №4:

სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“,
მხარდაჭერის დეპარტამენტის დირექტორის ნინო ინწკირველის სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, აკ.წერეთლის გამზ. N67ა
ტელეფონი:
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ. №GE24NB0330100200165022,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22,
სკ - 202307404

შემსყიდველი №5:

სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“,
წარმოდგენილი ფინანსების, სტატისტიკის და შესყიდვების სამსახურის უფროსის **კობა ხუბუნაიას** სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-10კმ
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა;
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში;
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 707453459
სკ - 205263873

შემსყიდველი №6:

სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“,
წარმოდგენილი თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელის **ნიკა ახალბეგაშვილის** სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, სანდრო ეულის ქ.N3,
ტელეფონი: 2 94 40 16,
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ. № 707407076,,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22,
სკ 203862622

მიმწოდებელი:

შპს „თბს ტვ მედია“
წარმოდგენილი დირექტორის
თინათინ იობიშვილის სახით,
იურიდ. მისამართი: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №68,
ფაქტ. მისამართი: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №68,
ტელეფონი: 240-93-40 და 595-98-58-88,
საბანკო რეკვიზიტები: ანგ.№GE85TB7904436080100001,
სს „თიბისი ბანკი“, კოდი: TBCBGE22,
ს/ბ – 405030317

40508031 7
TBC TV MEDIA
თბს ტვ მედია

შემსყიდველი №7:

სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი“,
წარმოდგენილი დირექტორის **ნუგზარ კაკულიას** სახით,
მისამართი: თბილისი, სანდრო ეულის 3ა,
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ. №200122900,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22,
სკ - 204423230

შემსყიდველი №8:

სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტო“,
წარმოდგენილი სააგენტოს თავმჯდომარის
ირაკლი გვენეტაძის სახით,
მისამართი: ქ. თბილისი,წმ.ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძისN2,
ტელეფონი:
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ. №200122900,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22,
სკ - 204577699

მიმწოდებელი:

შპს „თბს ტვ მედია“
წარმოდგენილი დირექტორის
თინათინ იობიშვილის სახით,
იურიდ. მისამართი: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №68,
ფაქტ. მისამართი: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №68,
ტელეფონი: 240-93-40 და 595-98-58-88,
საბანკო რეკვიზიტები: ანგ.№GE85TB7904436080100001,
სს ,,თიბისი ბანკი", კოდი: TBCBGE22,
ს/კ – 405030317

ტექნიკური დავალება:

მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს შემსყიდველების მიერ მიწოდებული სარეკლამო რგოლების სატელევიზიო ეთერში განთავსება.

მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს შემდეგი პირობების შესაბამისად:

- სარეკლამო რგოლის განთავსება ერთდროულად უნდა მოხდეს 4 ქართულ საინფორმაციო სატელევიზიო არხზე. მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებულ არხებს უნდა ქონდეთ საინფორმაციო გამოშვება.
- შეწონილი რეიტინგების საორიენტაციო ჯამური ოდენობა შეადგენს 6510 (ექვსი ათას ხუთას ათი) wGRP-ს, ხოლო თითოეული შემსყიდველისთვის:

  ა) საქართველოს იუსტიციის სამინისტრო - 1886 wGRP;

  ბ) სსიპ „იუსტიცის სახლი" - 754 wGRP;

  გ) სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო" - 849 wGRP;

  დ) სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო" - 679 wGRP;

  ე) სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო" - 504 wGRP;

  ვ) სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" - 660 wGRP;

  ზ) სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი" - 660 wGRP;

  თ) სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტო" - 518 wGRP;.

- შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის რგოლის ქრონომეტრაჟი, სარეკლამო კამპანიის ხანგრძლივობა და სავალდებულო შეწონილი რეიტინგის ოდენობა მიწოდებული იქნება სარეკლამო კამპანიის დაწყებამდე 1 კვირით ადრე;
- შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის სარეკლამო რგოლი მიწოდებულ უნდა იქნას სარეკლამო კამპანიის დაწყებამდე მინიმუმ 2 დღით ადრე;
- სამიზნე აუდიტორია - ALL 18+;
- მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული არხების საშუალო AMR% 2015 წლის ბოლო კვარტალში AGB Nilesen-ის მონაცემებზე დაყრდნობით უნდა იყოს მინიმუმ: 1.30%(პრაიმ ტაიმში); 0.50%(არა პრაიმ ტაიმში);
- მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული არხების საშუალო ყოველდღიური RCH 2015 წლის ბოლო კვარტლის AGB Nielsen -ის მონაცემებზე დაყრდნობით უნდა იყოს მინიმუმ 20%;
- მიმწოდებლის მიერ თითოეული კამპანიის დაგეგმვა უნდა განხორციელდეს ისე, რომ AGB Nilesen -ის მონაცემებზე დაყრდნობით 2015 წლის ბოლო კვარტლის სატელევიზიო წილების მიხედვით (SHR) პირველ და მეორე ადგილზე მყოფ სატელევიზიო არხებზე დაგროვილმა ჯამურმა wGRP-მ შეადგინოს კამპანიის ჯამური wGRP-ის 70% (±15%), ხოლო მესამე და მეოთხე ადგილზე მყოფ სატელევიზიო არხებზე - ჯამური wGRP-ის 30% (±15%);
- მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული ყველა არხი უნდა იყოს AGB Nielsen Georgia-ს ან Infosys- -ის ხელმომწერი და შესაძლებელი უნდა იყოს აღნიშნული AGB Nielsen Georgia-ს ან Infosys- -ის საფუძველზე სარეკლამო კამპანიების მაჩვენებლების ანგარიშგება. AGB Nielsen Georgia-ს ან Infosys- -ის საფუძველზე მომზადებული ანგარიშების გაცემაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ: შპს „თვმრ საქართველო" ან/და შპს "ტრი მედია ინტელიჯენსი";
- მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველს იმ უფლებამოსილი პირის მიერ მიწოდებული ანგარიში, რომელიც წარმოადგენს კონკრეტულ არხთან ხელმომწერ პირს. ანგარიშის მიწოდება ნდა განხორციელდეს როგორც სარეკლამო კამპანიის მსვლელობისას, ასევე სარეკლამო კამპანიის დასრულების შემდეგ. სარეკლამო კამპანიის დასრულების შემდგომ წარდგენილი ანგარიში უნდა იყოს ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ;
- მიმწოდებელი ვალდებულია ყოველ ხუთშაბათს გაუგზავნოს სამინისტროს ყოველკვირეული კონკურენტული მიმოხილვა (სხვა საჯარო უწყებების ეთერში გასვლის ზოგადი ინფორმაცია: უწყების სახელი:

ჯამური wGRP, RCH, SHR, insertion-ი და ქრონომეტრაჟი) სამინისტროს მიერ მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე.

- მიმწოდებელი ვალდებულია გაუგზავნოს სამინისტროს 2016 წლის კვარტალურად (ბოლო კვარტლის გამოკლებით) განახლებადი MMO კვარტლის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში სამინისტროს მიერ მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე;
- მხოლოდ სამინისტრო იტოვებს უფლებას აუცილებლობის შემთხვევაში გამოითხოვოს მიმწოდებლისგან სხვა მისთვის საჭირო რეპორტი AGB-ის ან/და Infosys- -ის მონაცემებით და მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს სამინისტროსთვის მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდება მოთხოვნიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში, ამასთან სამინისტროს მიერ შესაძლოა იქნეს მოთხოვნილი უფლებამოსილი პირის/პირების მიერ ხელმოწერილი ანგარიშები;
- მიმწოდებელი ვალდებულია კამპანიის მიმდინარეობისას, ყოველ ოთხშაბათს, გაუგზავნოს შემსყიდველს და სამინისტროს შევსებული პოსტ-ბაი ანალიზი (სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N3-ის სახით) და მონიტორინგი (spot by spot);
- მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მონიტორნიგი (spot by spot) უნდა შეიცავდეს შემდეგ ცვლადებს:
- დრო;
- გადაცემა;
- არხი;
- ქრონომეტრაჟი;
- Insertion;
- RCH;
- wGRP;
- GRP;
- ABSOLUTE GRP;
- Investment;
- მომსახურების სავარაუდო ღირებულების გადანაწილება თითოეული შემსყიდველის შემთხვევაში უნდა მოხდეს შემდეგნაირად:
- 60% (±2%) პრაიმ ტაიმში (18:00-24:00);
- 40% (±2%) არა პრაიმ ტაიმში (24:00-18:00);
- დასაშვებია 100%-იანი ცურვა.
- 1 კვირიანი ან 1 კვირაზე მეტი ხანგრძლივობის კამპანიის ჯამური RCH@+1 უნდა იყოს მინიმუმ 50%; RCH@+3 უნდა იყოს მინიმუმ 20%; **თუ შემსყიდველის მიერ მიწოდებული wGRP-ის რაოდენობის შესაბამისად დაგეგმილი 1 კვირიანი ან 1 კვირაზე მეტი ხანგრძლივობის კამპანიის ფარგლებში შეუძლებელია მოთხოვნილი** მინიმალური RCH@+1 **და** RCH@+3 **შესრულება, ასეთ შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია კამპანიის დაწყებამდე წინასწარ წერილობით, შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაციის საფუძველზე მიმართოს შემსყიდველს კამპანიაში შესაბამისი ცვლილებების ან კამპანიის სრულად გაუქმების თხოვნით, ხოლო შემსყიდველი ვალდებულია უმოკლეს ვადაში განახორციელოს კამპანიაში შესაბამისი ცვლილებები ან სრულად გააუქმოს იგი.**
- RCH დაითვლება შემსყიდველიდან როგორც advertiser-ის პარამეტრით;
- RCH-ის დათვლაში უნდა იყოს გამოყვანილი საშუალო ქრონომეტრაჟი;
- **განვლილი კამპანიის ჯამური RCH-ის ამსახველი დოკუმენტის წარმოდგენა უნდა განხორციელდეს AGB Nielsen Georgia-ს ან Infosys+-ის მონაცემებზე დაყრდნობით, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს უფლებამოსილი პირების - შპს „თვმრ საქართველოს“ ან/და შპს "ტრი მედია ინტელიჯენსის" მიერ;**
- მიმწოდებელი კამპანიის მსვლელობისას თავისუფალია მედია გეგმის მოდიფიკაციაში, უკეთესი ყოველკვირეული ოპტიმიზაციისათვის, ასეთის შემთხვევაში დაკორექტირებული გეგმის ცვლილება უნდა შეატყობინოს შემსყიდველებს. მედია გეგმის მოდიფიკაციისას არხის ცვლილება დაუშვებელია. შემსყიდველ

ორგანიზაციებს შეუძლიათ მოითხოვონ მოდიფიკაცია მედია-გეგმაში და მიმწოდებელი ვალდებულია შესაძლებლობის ფარგლებში განახორციელოს აღნიშნული ცვლილება;

- შემსყიდველი უფლებამოსილია სარეკლამო კამპანიის მსვლელობისას მოითხოვოს დაგეგმილი სარეკლამო კამპანიის ვადის გაგრძელება, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს დაკორექტირებული მედია-გეგმის შემსყიდველისთვის წარდგენა 3 სამუშაო დღის განმავლობაში.
- იმ შემთხვევაში, თუ სარეკლამო კამპანიის დასრულების შემდეგ დაგროვილი შეწონილი რეიტინგის ოდენობა დაგეგმილ შეწონილ რეიტინგზე არაუმეტეს 15%-ით ნაკლები იქნება, მიმწოდებელს მომსახურება ჩაეთვლება მიწოდებულად და შემსყიდველი ვალდებულია განახორციელოს დაგროვილი რეიტინგების ღირებულების ანაზღაურება სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ ვადებში.
- იმ შემთხვევაში, თუ სარეკლამო კამპანიის დასრულების შემდეგ დაგროვილი რეიტინგის ოდენობა აღემატება დაგეგმილი შეწონილი რეიტინგის ოდენობას არაუმეტეს 10%-ით, შემსყიდველი განახორციელებს დაგროვილი შეწონილი რეიტინგის ღირებულების ანაზღაურებას, ხოლო თუ დაგროვილი შეწონილი რეიტინგის ოდენობა დაგეგმილ შეწონილ რეიტინგს აღემატება 10%-ზე მეტით, შემსყიდველი განახორციელებს დაგეგმილი შეწონილი რეიტინგის მხოლოდ 110%-ის ღირებულების ანაზღაურებას.
- იმ შემთხვევაში, თუ სარეკლამო კამპანიის დასრულების შემდეგ დაგროვილი შეწონილი რეიტინგის ოდენობა დაგეგმილ შეწონილ რეიტინგზე ნაკლები იქნება 15%-ზე მეტით, პირველ ჯერზე შემსყიდველი განახორციელებს დაგროვილი შეწონილი რეიგინტის მხოლოდ 80%-ის ღირებულების ანაზღაურებას, ხოლო ზემოაღნიშნული ფაქტის განმეორების შემთხვევაში შემსყიდველი აღარ აანაზღაურებს დაგროვილი შეწონილი რეიტინგის ღირებულებას და იტოვებს უფლებას მოახდინოს ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა მომსახურების არაჯეროვნად შესრულების გამო.
- იმ შემთხვევაში, თუ სარეკლამო კამპანიის დასრულების შემდეგ დაგროვილი შეწონილი რეიტინგის გადანაწილება სატელევიზიო არხებზე არ შეესაბამება ამ ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ ოდენობებს, შემსყიდველი ასეთი გარემოების დადგომის პირველ ორ შემთხვევაში განახორციელებს ამ სატენდერო დოკუმენტაციის 2.3 და 2.4 პუნქტებით ასანაზღაურებელი თანხის მხოლოდ 80%-ის ღირებულების ანგარიშსწორებას, ხოლო ზემოაღნიშნული გარემოების განმეორების შემთხვევაში შემსყიდველი აღარ აანაზღაურებს დაგროვილი შეწონილი რეიტინგის ღირებულებას და იტოვებს უფლებას მოახდინოს ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა მომსახურების არაჯეროვნად შესრულების გამო. ამ პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება ამ სატენდერო დოკუმენტაციის 2.5 პუნქტით გათვალისწინებული შედეგით დასრულებულ სარეკლამო კამპანიაზე.
- იმ შემთხვევაში, თუ სარეკლამო კამპანიის (1 კვირიანი ან 1 კვირაზე მეტი ხანგრძლივობის) დასრულების შემდეგ სარეკლამო კამპანიის ჯამური RCH არ იქნება ტექნიკური დავალებით დადგენილი ოდენობების შესაბამისი, შემსყიდველი არ განახორციელებს გაწეული მომსახურების ღირებულების ანგარიშსწორებას და იტოვებს უფლებას მოახდინოს ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა მომსახურების არაჯეროვნად შესრულების გამო.

მიმწოდებელი

შპს „თბს ტვ მედია“
წარმოდგენილი დირექტორის
თინათინ იობიშვილის სახით

_____

4 0 3 0 0 0 3 1 7
TBC TV MEDIA
თბს ტვ მედია

ფასების ცხრილი

შესყიდვის ობიექტის დასახელება	შეწონილი რეინტინგების რაოდენობა	შეწონილი რეიტინგის ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
სარეკლამო რგოლების სატელევიზიო ეთერში განთავსება	6510	55,29	359.937,90

მიმწოდებელი

შპს „თბს ტვ მედია“
წარმოდგენილი დირექტორის
თინათინ იობიშვილის სახით

40308 0317
TBC TV MEDIA
თბს ტვ მედია

გაანგარიშება

არხები	შეწონილი რეიტინგების რაოდენობა	შეწონილი რეიტინგების ერთეულის ფასი 30 წამზე (ლარში)	PT / OPT
იმედი	4557	59.29	60%/40%
რუსთავი2			60%/40%
მაესტრო	1953		60%/40%
ჯიდიესი			60%/40%

მიმწოდებელი

შპს „თბს ტვ მედია“
წარმოდგენილი დირექტორის
თინათინ იობიშვილის სახით

Planned Weekly GRP by Channels (All 18+)								
Channel	Week Number	Week Number	Week Number	Week Number	Week Number	Week Number	TOTAL GRP	GRP Share
Channel							0.00	#DIV/0!
Channel							0.00	#DIV/0!
Channel							0.00	#DIV/0!
TOTAL	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	#DIV/0!

Actual Weekly GRP by Channels (All 18+)								
Channel	Week Number	Week Number	Week Number	Week Number	Week Number	Week Number	TOTAL GRP	GRP Share
Channel							0.00	#DIV/0!
Channel							0.00	#DIV/0!
Channel							0.00	#DIV/0!
TOTAL	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	#DIV/0!

Channel	Total wGRP All 18+	CPP All 18+ in GEL	Total Budget in GEL	Budget Share	Actual CPP All 18+	Actual CPP All 18+ in GEL	Actual Budget in GEL	Actual Budget Share
Channel	0.00	#DIV/0!		#DIV/0!	#DIV/0!	#DIV/0!		#DIV/0!
Channel	0.00	#DIV/0!		#DIV/0!	#DIV/0!	#DIV/0!		#DIV/0!
Channel	0.00	#DIV/0!		#DIV/0!	#DIV/0!	#DIV/0!		#DIV/0!
TOTAL	0.00	#DIV/0!	0.00	#DIV/0!	#DIV/0!	#DIV/0!	0.00	#DIV/0!

PLANNED Weekly wGRP by Channels (18+)								
Channel	Week Number	Week Number	Week Number	Week Number	Week Number	Week Number	TOTAL wGRP	wGRP Share
Channel							0.00	#DIV/0!
Channel							0.00	#DIV/0!
Channel							0.00	#DIV/0!

TOTAL	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	#DIV/0!

ACTUAL Weekly wGRP by Channels (18+)								
Channel	Week Number	Week Number	Week Number	Week Number	Week Number	Week Number	TOTAL wGRP	wGRP Share
Channel							0.00	#DIV/0!
Channel							0.00	#DIV/0!
Channel							0.00	#DIV/0!
TOTAL	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	#DIV/0!

მიმწოდებელი

შპს „თბს ტვ მედია“
წარმოდგენილი დირექტორის
თინათინ იობიშვილის სახით

TBS TV MEDIA
თბს ტვ მედია

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა

საბანკო გარანტია

№ FRI/16-089582 14.04.2016 წ.

ვის: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ **შპს "თბს ტვ მედია" ს/კ 405080317** (შემდეგ – „მიმწოდებელი") გამოცხადდა გამარჯვებულად **შემსყიდველების მიერ მიწოდებული სარეკლამო რგოლების სატელევიზიო ეთერში განთავსებაზე ტენდერში (SPA160006107)**, წარმოგიდგენთ საბანკო გარანტიას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თქვენთვის მიყენებული ნებისმიერი პირდაპირი ზიანის ანაზღაურება. ამასთან დაკავშირებით,

ვადასტურებთ, რომ:

ვართ გარანტი და ამ საბანკო გარანტიის გაცემით ვკისრულობთ საგარანტიო ვალდებულებას, თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე გადაგიხადოთ საგარანტიო თანხა **5,213.84 (ხუთი ათას ორას ცამეტი ლარი და ოთხმოცდაოთხი თეთრი) ლარის** ფარგლებში, მიმწოდებლის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში. ამასთან, საგარანტიო ანაზღაურების მოთხოვნა უნდა წარმოგვედგინოს ამ საბანკო გარანტიის მოქმედების ვადაში: მოთხოვნის წარდგენის დღედ ითვლება მოთხოვნის უშუალოდ გარანტთან (მის.: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №3) ჩაბარების დღე; დაუშვებელია მოთხოვნის ელექტრონულად, ფაქსით ან სხვა საშუალებით წარდგენა.

ეს გარანტია ძალაშია 01.02.2017-ის ჩათვლით.

ARDI INSURANCE

მაია ქამუშაძე

მომსახურებისა და მონიტორინგის
დეპარტამენტის დირექტორი

როცა ფიქრობ მხოლოდ კარგზე
JUST THINK OF BEST

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა

საბანკო გარანტია

№ FRI/16-089590 14.04.2016 წ.

ვის: სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ შპს "თბს ტვ მედია" ს/კ 405080317 (შემდეგ – „მიმწოდებელი") გამოცხადდა გამარჯვებულად **შემსყიდველების მიერ მიწოდებული სარეკლამო რგოლების სატელევიზიო ეთერში განთავსებაზე ტენდერში (SPA160006107)**, წარმოგიდგენთ საბანკო გარანტიას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თქვენთვის მიყენებული ნებისმიერი პირდაპირი ზიანის ანაზღაურება. ამასთან დაკავშირებით,

ვადასტურებთ, რომ:

ვართ გარანტი და ამ საბანკო გარანტიის გაცემით ვკისრულობთ საგარანტიო ვალდებულებას, თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე გადაგიხადოთ საგარანტიო თანხა **1,877.09 (ერთი ათას რვაას სამოცდაჩვიდმეტი ლარი და ცხრა თეთრი) ლარის** ფარგლებში, მიმწოდებლის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში. ამასთან, საგარანტიო ანაზღაურების მოთხოვნა უნდა წარმოგვედგინოს ამ საბანკო გარანტიის მოქმედების ვადაში: მოთხოვნის წარდგენის დღედ ითვლება მოთხოვნის უშუალოდ გარანტთან (მის.: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №3) ჩაბარების დღე; დაუშვებელია მოთხოვნის ელექტრონულად, ფაქსით ან სხვა საშუალებით წარდგენა.

ეს გარანტია ძალაშია 01.02.2017-ის ჩათვლით.

ARDI INSURANCE

მაია ქამუშაძე
მომსახურებისა და მონიტორინგის
დეპარტამენტის დირექტორი